№ 847 კვირა, 20 ივნისი. 1896—1899 კვირა, 20 ივნისი № 847

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა

ელის-მომწერნი გაზეთის დახაკვეს
ად მიმმართავენ რედაქციის დილი-
0 -8 საათამდე და საღამოს 6—7
ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

ირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

**ზაქარია მიხეილის საფაროვი** გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, ხანგრძლივი ავად მყოფობის შემდეგ, საყვარელის მეუღლისას.

**ანნა გიორგი ძალაევის ასული საფაროვისა**

სოფელ მარტყოფში, სადაც, ორშაბათს 21 ივნისს, დაკრძალავენ მთმვარ ანგელოზის ეკკლესიის ეზოში.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

**ჩინეთის მაღაზია**

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

**იმპერთ ჩაი** პირველი მოკრებისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიოზით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა **ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

საჩუქრებისა და ნიშნობისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—40)

კვირას, 20 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მეორედ **საპანგებო** საზოგადო კრება ქართველთა საალებ მიმცემი ამხანაგობის

**„შუამავლისა"**

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად ადნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

საავადმყოფო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

საავადმყოფოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერაბი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.

საავადმყოფოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** კნ. ორბელიანის მემკვიდრეთა და სვიმონ ფერნაძის საქმე. რა ხანია ქალაქში ხმა დადიოდა ზემოდ ხსენებულ საქმის შესახებ. სვ. ფერნაძე ვითომც განსვენებული კნ. ქეთევანის ანდერძის აღმასრულებელი თავისებურად მართავდა განსაკუთრებულის შემდეგ. დარჩენილს დიდს მამულებს და სხვათაშორის ბაქოს ნავთის წყაროებს, ხოლო მემკვიდრენი კნ. ქეთევანისა არ ცნობდენ მას ანდერძის აღმასრულებლად, ამასობაში დავა ატყდა და ერთხანად გაზეთებშიაც განცხადებებიც კი იბეჭდებოდა ორთავე მოწინააღმდეგე მხარეთა, რომელშიც ურთიერთს არ სცნობდნენ კანონიერ გამგებლად მამულებისა. ეხლა ეს საქმე საოლქო სასამართლოში გარჩეულა და სასამართლოს ბ-ნი სვ. ფერაძე გადაუყენებია ანდერძის აღმასრულებლად და ანგარიშის წარმოდგენაც მოუთხოვნია მისგან.

*** მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! ვთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ღრმა მადლობა გამოუცხადოთ ჩვენ, გურია-სამეგრელოს, იმერეთის და სოხუმის ეპარხიებთა მასწავლებლებმა, ტფილისის საპედაგოგიო კურსებზე გურულ-იმერულ კილოთი ქართული გალობის მასწავლებელ (ზედამხედველ ხელმძღვანელს) ბ. მ. შარაძეს, რომელიც უფასოდ გვირიგებს ხოლმე ქართულ წიგნაკებს.

მასწავ. მონდობ. ნიკო ბერიძე.

*** **ქ. ოზურგეთი.** სახალხო კითხვები და ქართული წარმოდგენები. როგორც გავიგე უკვე აუღიათ ნება სახალხო კითხვებისა, ეს დაწესებულება მეტის მეტად სასარგებლო მისაბაძავია ყველასაგან, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესა, იგი იმართება გონივრულად' თორემ თუ კი ის უბრალო შესაქცევრად მიაჩნიათ და უკითხავენ ხალხს რაც შეხვდებათ და მოეწონებათ მკითხველებს, მაშინ მას ვნების მოტანაც შეუძლია ეს კითხვები საჭიროა ღაბიო ხალხისათვის, რომელნიც უკან ჩამორჩენილია და დაქვეითებულია, მაგრამ უფრო ახალი ცხოველი მშრომელია, მისი გონება ადრე ითვისებს რასაც ასწავლი. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო, რომ მის გონებას ღლახა საზრდო არ მიაწოდო მას უნდა იმისთანა სულის გუნების მოსაზრდოებელი მასალა, რომელიც შეესაბამება მის ნორჩს გონებას და სარგებლის მოტანა შეუძლიან, თორემ ოხუნჯური, ლაზღანდარული მას არ სჭირია ყველა ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ შარშან იყო გამართული სახალხო კითხვები, მაგრამ უფრო არისტოკრატული იყო მგონია, რადგანაც იმისთანა დრო იყო, ამორჩეული, როდესაც მდაბიო ხალხს არ ეცალა. არც სარგებლობა მოუტანია არაფერი, რადგან თავში უდგნენ ამ საქმეს გამოუცდელნი და ამ საქმისთვის უვიცნი მოსწავლეები, ამ საქმეს კი სულ სხვა კაცი სჭირია, მან უნდა იცოდეს მდაბიო ხალხის ვითარება, მისი ავ-კარგი და საჭირბოროტო საგნები, ის უნდა იყოს შეკავშირებული სულიერად მასთან და გულის სიღრმიდან კითხულობდეს მათ ვითარებას, სულის კვეთებას და მისწრაფებას. აი ამისთანა კაცს შეუძლიან გონივრული მასალა მიაწოდოს და კითხვით ვინც წაუკითხავს ორივ ერთია, მოსწავლეებსაც შეუძლიანთ ამის გარდა შარშან დრო მეტად უხერხული იყო, შუადღის 12 ს ამ დროს მდაბიო ხალხი სადილობს და ისვენებს, ამის გარდა სიცხეც შეაწუხებს კაცს. ამათვის საჭიროა საღამო ჟამი, როდესაც მოცლილიც არის მოსვენებულიც, არც სიცხე შეაწუხებს და არც შიმშილი. კითხვების დაწყებამდე უნდა იყოს გაკრული განცხადებანი რას კითხულობენ, ვინ კითხულობს, სად და როდის, რომ ყველამ შეიტყოს და შეიძლოს დასწრება. კეთილის ქმნა თუ გსურთ, გარჯაც ნუ გეზარებათ და თქვენს ნაამაგარს საზოგადოება დააფასებს. ვუსურვებ ამ საქმის მოთავეთ გამარჯვებას და წინსვლას, რომ ბევრი რგება მოეტანოთ ხალხისთვის. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექციოს სახალხო წარმოდგენებს, რომ ხშირათ იმართებოდეს, სცენის მოყვარენი საკმაოდ არიან რომელთა შორის იმისთანანიც, რომელთაც აქვთ ნიჭი მსახიობობისა, მაგრამ ფარგალი შემოზღუდული აქვს მის ნიჭს და არც მაგალითებს ჰხედავს ღი

გასავითარებლად დასახელოვნებლად. მაგრამ წარმოდგენებს ყველაზედ უფრო ხელს უშლის სახლის უქონლობა, საჭიროა ამას მიაქცევდეს ყურადღებას ადგილობრივი საზოგადოება და შეძლებისამებრ დაეხმარებოდეს, მით უფრო საჭიროა ეს, რომ ახალგაზდა ყმაწვილები და სხვანიც სხვა და სხვანაირ უსარგებლო დროს გატარების მაგიერ ამას მოაშურებენ და ცოცხალი სურათების დანახვით, სასარგებლო მაგალითს გადმოიტანენ. დროა, დრო, რომ გამოახილოს თვალი და ყოველივე საზოგადო საქმეს ხელი საერთოდ მოჰკიდონ. არა ერთხელ წამიკითხავს ჩვენს გაზეთებში: მოგვაწოდეთ სცენაზედ მოთამაშე ქალიო. სასურველია აქაც მოსწვდებოდეს ქართული დრამატიული საზოგადოება, რადგანაც აქ მოიპოება ქალები, რომელთაც აქვთ ნიჭი სცენაზედ თამაშობისა, მიეცი მხოლოდ მათ ნიჭის გზა ფართე და უტყუარი ხელოვნების მაგალითები და სასურველ ნაყოფს გამოიღებენ. ვუსურვებ სცენის მოყვარეთ ხელოვნურ წარმატებას.

ვ. ბალისუბნელი

*** **კავთისხევი** (ქართლი). ჩვენი აგი და კარგა. ამ ჟამად კავთისხევში შესამჩნევად გრილა. თითქმის ყოველ ცისმარა დღეს ცას ნამი ვარდება და დასავლეთის გრილი ქარი უბერავს. როდესაც ამგვარი ზაფხული დგება, მაშინ ხალხი დაიმედებულია, რომ ჭირნახულს კარგი ბოლო ექნება და მართლაც კავთისხევის მდებარე მამულებს თვალი რომ გადავავლოთ, თვალისთვის სასიამოვნო სურათს წარმოადგენს. როგორც ზღვის ტალღები, ისე ღელავენ მშვენივრათ მიგრეხილი ყანები და სიმინდები. ხალხი საშუალო მოსავალზე უკეთეს მოსავალს ელის, თუ ციდან ზარალი არა მიეცათ-რა. ქერები უკვე შეჰრეულდა და ამ ერთს კვირაში გაიჰრება. ვენახებსაც კარგათ ასხია, მაგრამ იმედი კი ცოტაა კარგი მოსავლის მოლოდინისა, რადგანაც აქაურ ვენახებს ავადმყოფობა აქვს შეპარებული და სწორედ მაშინ ხდებიან, როდესაც თვალი შესდის ყურძენს დასამწიფებლად. ვაზის წამლობა აქაურს ხალხს არა სწამს და მაგალითის მაჩვენებლები კი კავთისხევში არ არიან. აქაური მცხოვრებნი ვაზის ავადმყოფობას ღვთაების განგებას აწერენ და არა მავნებელს მწერთ—კოკონას და მილდიუს, რომელნიც ვაზის ქერქში ბრიან დაბუდებულნი და ლამის არის ვენახები ძირიან-ფესვიანათ ამოაგდონ.

ქვეყანა-ქვეყნად იქცა და ჩვენ ხალხს ვერა ეშველა-რა, ვერ განთავისუფლდა სხვა და სხვა ველურის მიდრეკილებიდან. კავთისხევში მოდის ერთი სადღესასწაულო დღე, ეგრედწოდებული „კავთობა“, რომელიც დღესასწაულათ კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ ხალხის დამღუპავად. ეს დღეობა წელს 13 თიბათვეს იყო, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ მკითხველო რა სამწუხარო და მავნებელს ბეჭედს ასვავს აქაურ მცხოვრებთ. ამ დღეს დიდძალი უცხო ხალხი იყრის სოფლებში თავს და მთელი ერთი კვირა „ეგზეკუციასავით“ ნათესავების სახლში არიან ჩამდგრები და ღეწავენ და ანადგურებენ ისეც ფიტა გამოღეულს ხალხს. რაც უნდა ღარიბი ოჯახი იყოს ორთა-შუა რიცხვით 15--20 მანეთზედ მეტი ეხარჯება. საიდგან? იკითხავთ, რასაკვირველია, შინ არა მოეძევებათ რა და უნდა მევახშეებისაგან ივალონ და თუმანზედ თვეში ათი შაური იხადონ, და ან არა ვენახი და სახნავი მამულები დააგირაონ ნახევარ ფასად. ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ რაც მთელი კავთისხევის საზოგადოება „წელიწადში“ სახაზინო და წვრილს ხარჯებს ხდილობს, იმაზედ გაცილებით მეტი ხარჯი მოსდით, „კავთობა“ დღეს.

გარდა იმისა, რომ კავთისხეველები ამ დღეებში ქონებიდგან იცლებიან და ვალში ცვივიან, ზედ ერთი უბედურებაც ერთობათ. დაითრობიან, გამოვლენ და ვინ იცის რავდენი ჩხუბები ხდება, თავად-აზნაურნი მამა-პაპურს ხმალ-ხანჯალს ჰკიდებენ ხელს და გლეხები სახრე-კეტებს. კავთობის შემდეგ ბევრ კაცს აქვს ხოლმე თავი ხელცახოცით შეხვეული. წელსაც ჩხუბები და რბილი ცემა-ტყეპა ბევრი იყო, მაგრამ შესამჩნევი უბედურება კი არა ყოფილა-რა.

არ შეგვიძლიან კავთისხევის ადგილობრივ მოხელეებს კიდევ და კიდევ არ მოვაგონოთ ის გარემოება, რომლის შესახებ ათი-ათასჯერ შეგვინიშნავს, რა უბედურებაა, იმათ თავს ძალა და უფლება ხელში უჭირავთ, და იმ საგანზედ კი არ ხმარობენ, რომელიც საერთო ხალხის კეთილდღეობისთვის საჭიროა, არამედ თავიანთ პიროვნულ ინტერესებს ალევენ და ისუქებენ კისრებს.. არავითარი სისუფთავე არ სუფევს: სასუქები ნაკვები: სულ კარებებზეა დაზვინული. გზები და ბოგირები სრულიად წახდენილები და მინგრეულ-მონგრეულები ჩვენ გვაკვირვებს ბ. ბოქაული, რომ ყურადღებას არ აქცევს მოხელეებს

# სხვა-და-სხვა ამბავი

## ქალაქი მარსელი.

*მარსელის დაარსების თავდაპირველი ისტორია.—მისი ადგილ-მდებარეობა.—მისი მნიშვნელობა ეხლანდელ დროში, როგორც სავაჭრო ქალაქი.—უმთავრესი და შესანიშნავი შენობები.—კანბიერის ქუჩა, როგორც შესანიშნავი და სავაჭრო მთელ დედამიწის ზურგზე.*

600 წლის წინად ქრისტეს მოსვლამდე, რამდენიმე თავგანწირული მეზღვაურები, სავსენი ძალით და ღონით. რომელთაც ძლიერ ეგულებოდათ დიდების მოპოვება, იალქნიან გემებზე ფოკიიდან (მცირე აზიაშია) გაემგზავრნენ იმ ადგილისაკენ, რომელსაც მაშინდელ დროში სახელად უწოდებდნენ: „შორის დასავლეთს“, რომელთაც აზრადა ჰქონდათ დაეარსებინათ აქ თავიანთი საკუთარი კოლონიები. დევნილნი სპარსელების მხრით, ეს ახალგაზდა ბერძნები სამუდამოდ მიატოვებდნენ თავიანთ სამშობლოს და მზად იყვნენ ვინ უწყის სად გადაკარგულიყვნენ, ოღონდ მათი თავისუფლება დამოუკიდებელ ყოფილიყო ვინმე კიროსის ან ქსერქსის მხრით. გადაიარეს თუ არა საბერძნეთი, სიცილია და მესსინა, თამამი მოგზაურები შევიდნენ აქამომდე მათთვის უცნობ ტირრენის ზღვაში. ბევრი იარეს კუნძულების და ზღვისპირ შუა, მაგრამ ვერსად ჰპოვებდნენ მათთვის შესაფერ ადგილს. ბოლოს, ბევრი ხეტიალის შემდეგ, ისინი გადმოსხდნენ ეხლანდელ საფრანგეთის სამხრეთ ნაწილის ზღვის პირზე. ეს ადგილი მათ ძლიერ მოეწონათ, დაბინავდნენ აქ და დაარსეს საკუთარი კოლონია, რომელიც დრო და დრო იზრდებოდა და ბოლოს შეიქმნა შესანიშნავ ქალაქად, სახელად მასსალია (ეხლანდელი მარსელის აწინდელი სახელი), რომელიც თავით ბოლომდე აშენებულ იყო ბიზანტიის სტილის გემოვნებაზე. ამ ქალაქმა დიდი გავლენა იქონია მთელ კაცობრიობის ისტორიაში. ეხლანდელ დროში მარსელი მთელ შუა ხმელეთზე ალებ-მიცემობისა და ვაჭრობის უმთავრეს წერტილად ითვლება, რადგაც ერთ დროში ვენეცია ითვლებოდა, ეხლა იმათ მარსელი ითვლება ე. ი. მთელ შუა ხმელეთის ზღვის პირზე უმთავრეს და მდიდარ ქალაქად. უთვალავი ორთქლმავალი და იალქნიანი გემები მარსელის ნავთსადგურში დგებიან, რომელნიც საქონლით დატვირთულნი სხვა და სხვა შორეულ ქვეყნებში მიდიან და მოდიან, დრო შეუწყვეტლივ ვაჭრობენ და იგებენ უთვალავ ფულს. აი დაგროვილან ნავთ-სადგურში გემები და საცაა გზას გაუდგებიან. ერთი გემი ბარცელონაში და მალაგაში მიემგზავრება, მეორე ნეაპოლში, მალში და სტამბოლში. აქვე სდგას ორთქლით მავალი გემი, რომელიც თუ გნებავთ ათინაში და ალექსანდრიაში (აფრიკაშია) წაგიყვანსთ, მეორე კი, მისი მეზობელი, მზად არის ალჟირში და ტუნისში გაემგზავროს. ერთი სიტყვით, რა გემები არ გინდათ და რა ადგილში არ მიემგზავრებოდნენ. მარსელის ნავთსადგურიდგან სწორე გზით შეგიძლიანთ გაემგზავროთ გემით შავი ჰირის დედა ქალაქ ბომბეიში, ან იოკოგამაში, რიო-დე-ჟანეიროში, ბუენოს აირესში, (ეს ორი ქალაქი, ამერიკაშია), სანტაკრუცში, ტენერიპში სინგაპურში და მელბრუნში. მარსელის ეხლანდელი უკეთესი მდგომარეობა უნდა მივაწეროთ გეოგრაფიის მხრით ქალაქის ასაშენებლად კარგი ადგილის ამორჩევის გამო, მის შეუპოვარ და მამაც მცხოვრებლებს, ბერძნებს და ფრანცუზებს, რომელნიც არა ზოგავენ, არც ფულს და არც თავიანთ ძალ-ღონეს, რათა ალებ-მიცემობას ხელი მოუწყონ და გაამდიდრონ ქალაქი.

მაგრამ რამდენი ვაება სწვევია ამ შეუდრეკელ ქალაქს, მინამ იგი ეხლანდელ მდგომარეობამდე მიაღწევდა! თავდაპირველად მარსელი, როგორც სჩანს, ბერძნებ და ლიგურიელებთ მეთევზეების სოფელი ყოფილა. მერმე მოსულან ფინიკიელები, რომელთაც შესამჩნევლად გაუდიდებიათ სოფელი და აუშენებიათ ის მშვენიერი ციხე დარბაზები და კოლონნები, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც „რესპუბლიკის“ ქუჩის გაყვანის დროს აღმოუჩენიათ. ფინიკიელების შემდეგ მოსულან, ზემოთ აღნიშნულნი, ფოკეელები, რომელნიც გაიქცნენ თავიანთ სამშობლოდან. ამათ პირველად ჩაყარეს საძირკველი ეხლანდელ ქალაქ მარსელისა და დააარსეს აქ მშვენიერი საბერძნეთის კოლონია. უწინდელი მასსალია ძლიერ ქალაქად შეიქმნა თუ არა, დააარსა თვისი კოლონიები ნიცცაში, ანტიბის და გიერის კუნძულებზე და ააშენა „ფაქტორიები“ ტარასკონში, ავინიონში და სხვა უძველეს ქალაქებში, რომელნიც მდებარეობდნენ მდინარე რონის მიდამო ადგილებში.

მარსელის გემები, რაც კი მაშინდელ დროში გაჩენილი ჰქონდათ, სავაჭროდ ყველა ზღვებზე დადიოდნენ, ერთი სიტყვით, რომაელების მოსვლამდე ქალაქი მარსელი არა ხალხს არ ემორჩილებოდა და შეურყევლად იდგა შუა ხმელეთის ზღვის პირზე. მაგრამ მოვიდნენ თუ არა რომაელები, როგორც სხვა ქალაქებს, ისე მარსელსაც დაუბნელდა თვის ბედ-იღბლის და ბედ-

და აგრე თავ მინებებული ჰყავს.

ისევ ის.

# სამეცნიერო ცნობა

—

შესანიშნავი გამოგონება. ეხლა პოლონელ ექიმს პრიშევსკის გამოუგონია ისეთი იარაღი, რომლის საშუალებით კაცს სრულებით მოკლებულს თვალთა ხილვას, შეეძლიან დაინახოს ის ჰაგნები, რომელნიც განათებულნი იქმნებიან სინათლის შუქზე.

ახეთივე მანქანა გამოუგონია ეხლახან ერთ იტალიელ ექიმს ყურთა სმენას მოკლებულთათვის. ამ მანქანის საშუალებით სრულებით დაყრუებულთ შეეძლებათ გაგონება ხმა მაღლა ლაპარაკისა და სიმღერებისა.

## ცნობები ჰიგიენიდან

—

თმების შესახებ. ჯან-მრთელ თავზე განსაკუთრებით ზაფხულობით ყოველ თვე იზრდება ერთ სანტიმეტრზე ახალგაზდა ქალებს თმა თუ არ მოკრიჭა სამინელის სისწრაფით იზრდება ხოლმე თვეში 20 სანტიმეტრამდე.

წვერიც სწრაფად იზრდება, მაგრამ ბევრს ტყუილად ჰგონიათ, რომ ხშირი მოკრეჭა წვერისა მითამ მალე ზრდიდეს მას.

შემცდარია აგრეთვე ის აზრი, ვითომც თავის ხშირი და მოკლედ გაკრეჭვა მელოტობისგან იხსნიდეს თავს, პირიქით რაც თავზე თმა ხშირად იკრიჭება, მაშინ თმა ნება უნებლიედ ძალას ჰკარგავს, თმების ძირი ხმება და უფრო მალე და ადრე ცვივდება ხოლმე. ოცდა ათ წლამდე კიდევ არა უშავს რა. ხშირს კრეჭას, ხოლო მერე კი უნდა თვეში ერთხელ იკრიჭოთ, რათა თმამ ძალა არ დაჰკარგოს და ცვივნა არ დაიწყოს.

## რჩეული აზრები

—

✦ მდიდარს უფრო ადვილად აძლევენ სესხად, ვიდრე ღარიბს სესხად.

✦ მაგალითებმა დაამტკიცეს უბედურების ატანა კაცს ამაგრებს.

✦ ბევრი კაცი უთვალა, რომელთაც ადვილად და სიცილით აუტანიათ მრავალი უბედურება დაბრკოლებანი, და არ გამოცვლილან, ხოლო ბედნიერების დროს მალე დამორჩილებიან აგს გავლენას.

✦ ნაცნობობა მდიდრებთან და რაც ხარისხოვან პირებთან ღარიბს ვერას შემატებს, ღარიბი კაცის წარმატება დამოკიდებულია თვით მის პიროვნებულ ღირსებებზე და იმ პატივზე, რომელსაც დაიმსახურებს იგი საზოგადოებაში.

✦ ხელ მოჭერილობა და უაირათობა დედაა უკეთილიკე თავისუფლებისა.

## ყურმოკრული საუბარი

—

ქარვასლაში ერთი ქალი, რომელსაც თვის დროს თავისი დიდი შაშ დაუსვია, ეიდულობდა შლიაპას და თან სულ ახალგაზდების შესაფერს არჩევდა. გაიძვერა „შკაპჩიკი“ მალე მიუხვდა ქალს და ერთ შლიაპაზე უთხრა:

— ეს მეტად გიხდებათ, ამ შლაპაში ერთბაშად გეტყობათ ცვლილება და სულ ცოტა ათის წლით მაინც უფრო ახალგაზდათ გხდითო!

— მართლა, სიამოვნებით შეეკითხა ქალი, მაშ კიდევ მომეცით სამიოდე ამისთანა შლაპაო.

## ოჯახში გამოსადეგი ცნობა

—

კართოფილის ყველი. კარგათ მოხარშული კართოფილი გაფცქვენით, აზილეთ (ორი წილ კართოფილს ერთი წილი ხაჭო (ТВОРОГЪ) მიუმატეთ), დაამარილეთ გემოვნებაზე. მიუმატეთ დაფხვნილი მიხაკი და დაფნის მარცვლები, დახურეთ და ორ დღეს გეუ იყოს ეს შენადეგი, მესამე დღეს ამოიღეთ, კვერულებო გააკეთეთ, დააწყეთ სტოლზე და ზემოდან მძიმე რამე დაადეთ; რამდენიც დიდი ხანი იქნება ესე, იმდენი გემრიელი ყველი გამოვა.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

17 ივნისი

**პეტერბურგი.** შავის ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ არავიაში ქალაქ მასკატში შავი ჭირი გაჩნდაო.

**ბრიუსელი.** საღამოთი რამდენჯერმე ყრილობა მოახდინეს პროტესტის გამოსაცხადებლად ამომრჩევლობის კანონის წინააღმდეგ, რომლის შესახებაც ორატორებმა სთქვეს, რომ იგი საზიზღარია და კონსტიტუციის დამარღვეველიო. იმედი გვაქვსო, სთქვეს, რომ თუ კანონი შეწყნარებულ იქმნა, მეფე არ დაამტკიცებსო.

**ბრიუსელი.** საღამოზედ 5000 კაცმა მანიფესტაცია მოახდინა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც სახელმწიფო დაწესებულებებია. საშინელი ყვირილი იყო. მაღაზიების და ფარნების შუშები ჩაამტვრიეს. ჟანდარმებს ქვები დაუშინეს. ამ უკანასკნელთ თავის მხრით თოფების სროლა დაიწყეს. ორი ჟანდარმი დაჭრილია. ამბობენ, დაჭრილი ბევრიაო. საღამოზედ ქალაქი დაწყნარდა.

**პეტერბურგი.** მრავალ ქალაქიდგან დეპეშა მოვიდა დიდის მთავრინას მარიამ ნიკოლოზის ასუ-

---

...ურების ვარსკვლავი, რომ მაილებმა დაიპყრეს იგი, დახოცეს მცხოვრებლები, დაიჩემეს ქალაქი და მასსალიის ნაცვლად დაარქვეს მასსილია. ჯვაროსნების ომიანობის განმავლობაში ქ. მარსელი თავისუფალ და დამოუკიდებელ ქალაქად ირიცხებოდა ლუი XIV მეფობამდე, როდესაც იგი ფრანგებმა დაიპყრეს და მასსალიის ნაცვლად დაარქვეს „მარსელი“. ოსმალეთის ძლიერის დაცემამ, რომელიც მიცემობის გაძლიერებამ ალექსანდრიის და ლევანტის შორის, ზღვაზე ავაზაკობის მოსპობამ, საფრანგეთის მიერ ალჟირის დაპყრობამ და სუეცის არხის გათხრამ დიდი გავლენა იქონიეს მარსელის ბედ-იღბალზე. იგი გამდიდრდა, გადიდდა და ხალხი ბლომად მიაწყდა მას, რადგანაც აქ ადამიანისთვის პურის ფულის შოვნა რამეთუ შესაძლო იყო, არამედ ადვილიც. ეხლა იგი გახდა ზღვის პირზე მთელ ფრანციის ერთ უმთავრეს ქალაქად და უმთავრეს ცენტრად ვაჭრობისა და აღებმიცემობისა მთელ შუა ხმელეთის ზღვაზე სხვა და სხვა ხალხთა შორის. ზღვიდგან მარსელი უფრო კარგი სანახავია, ვიდრე ხმელეთიდგან. უმთავრესი შესავალი მარსელში არის „ძველი ნავთ-სადგური“ და შესანიშნავი ქუჩა „კანბიერი“, რომელიც იწყობა „ძველი ნავთ-სადგურიდგან“. ყველა ზღვის პირს მდებარე ქალაქები საზოგადოდ სილამაზით შესანიშნავნი არიან, მაგრამ მარსელი ყველა ამ ქალაქებზე უფრო ლამაზია. მის გარშემო სდგანან თოვლით შემოსილნი უზარმაზარი მთები და ამაყად დასცქერიან თავიანთ ფეხ ქვეშ გადაჭიმულ ქალაქს, თუმც სრულებით ტიტველ შიშველნი არიან და არა მცენარეულობა არა ხარობს მათზე. ამ მთების ფერდობები სავსეა მარსელიელების ოთხ-კუთხ უცნაურ შენობებით. მთების წინ ყურეში იმყოფება მრავალი პატარ-პატარა კუნძულები, ერთ რომელთაგანზე იმყოფება მშვენიერი და ამასთანავე შესანიშნავი ისტორიის მხრით ციხე „დ' იფი“, რომელიც საფრანგეთის მწერალს დიუმას უდიდებია იგი თავისს სასო-წარკვეთილებით სავსე რომანში „გრაფი მონტე-კრისტო“, შემდგომ მოსჩანს თვით ქალაქი და ნავთ-სადგური სავსე გემებით, რომლებზედაც აღმართულია სხვა და სხვა სახელმწიფოების ბაირაღები. აგრეთვე პირველი შეხედულობით ადამიანს თვალში უვარდება საუცხოვო შენობის ახალი ბიზანტიის სობორო, რომელიც აშენებულია წმ. ლაზარეს სობოროს ადგილას, რომლის ნანგრევები სრულებით აღარ დარჩენილა. აგრეთვე ქალაქის შუა ნაწილში იმყოფება პირამიდის მზგავსს მთაზე შესანიშნავი უძველესი ღვთის მშობლის სამლოცველო (Notre Dame de la Carde), რომელიც განსხვავდება სხვა სობოროებს თავისს შესანიშნავ ხუროთ მოძღვრულ შენობით. თუ მარსელში ძველი ნავთ-სადგურიდგან შეხვალთ, თქვენ უეჭველია მოჰყვებით იმ ადგილას, რომელსაც სწორედ და სამართლიანად ამ ქალაქის შუაგულს „სუდიად“ ეძახიან. სანაპიროზე თქვენ დაჰხვდებით მთელ დედამიწის ზურგის წარმომადგენელთ. აქ ჰხედავთ ათინიდგან მოსულ ბერძენს, სმირნიდგან—ლევანტიელს, გენუიდგან—იტალიელს. აქვე ბლომად იყრიან თავს არაბები ანუ მავრები ჩრდილო აფრიკიდგან: ტენჟერიდგან და ტუნისიდგან. სხვა და სხვა ენებზე ლაპარაკი, ათას-ნაირი ტანთ-საცმელი და უცნაური მიხვრა-მოხვრა აქაურ ხალხისა უეჭველია მოგაგონებენ თქვენ რამდენიმე ათასი წლის წინედ მყოფ ბაბილონის გოდოლის აღშენების ისტორიას. გემიდგან გამოხვალთ თუ არა სანაპიროზე, თქვენ უეჭველია გამოხვალთ „კანბიერის“ ქუჩაზე, რომელზედაც მარსელიელები ამბობენ, რომ ამაზე შესანიშნავი ქუჩა მთელ დედამიწაზე არა ადგილას არ მოიპოვებაო. ამ კითხვის გარჩევაში ჩვენ საქმე არა გვაქვს, მაგრამ ის კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ნიუ-იორკის „Broadvay“ (ბროდვეას) ქუჩის შემდეგ სილამაზით და სისუფთავით შეიძლება ჩაითვალოს ზემოდ მოყვანილი კანბიერის ქუჩა. იგი დიდი სიგრძისა არ არის, მაგრამ შესანიშნავად განიერია. ამ ქუჩის ორივ მხრით გაშენებულია შესანიშნავი სიმდიდრით და სუფთა მოწყობილებით სასტუმროები, მაღაზიები და კაფე რესტორანები. ცისმარე დილიდან დაწყობილი, ვიდრე შუაღამემდე ეს ქუჩა სავსეა ათასგვარ ტომის ხალხითა, რომელნიც აქა-იქ ბუზივით ირევიან და დიდ ფაცა-ფუცში არიან: ჰყიდიან, ყიდულობენ, მიაქვთ, მოაქვთ, ერთი სიტყვით თავბრუ დაესხმება უცხო ადამიანს, თუ პირველ მოსვლისათანავე იგი ამ ქუჩაში მოჰყვა. აი ამ მიზეზით შეიძლება კანბიერის ქუჩა ერთ შესანიშნავ ქუჩად ჩაითვალოს მთელ დედამიწის ზურგზე.

ერთ ადგილას კანბიერის ქუჩა გადაჭრილია მშვენიერ ყვავილხანით, სადაც რამდენიმე კაპეიკათ თქვენ შეგიძლიანთ იყიდოთ სხვა-და სხვა სურნელოვან ვარდის და ალისფერ იის საუცხოვო თაიგული ეს ყვავილხანა ერთ ლამაზ და შესანიშნავ კუთხედ ითვლება მარსელში. ასე გეგონებათ, ყვავილის მზის და ამასთანავე სიყვარულის მხარეს იმყოფებითო. მარსელში აგრეთვე სხვა ლამაზი და შნოიანი ქუჩები იმყოფება, მაგრამ მათი სილამაზე და სიშნოიანე სხვა და სხვა ადამიანის ხასიათის დაგვარად ფასდება.

პავლე მოსულიშვილი.

(დასასრული იქნება)

ლის დაბადების გამო სამადლობელ პარაკლისის გარდახდის შესახებ

**პარიზი.** გუშინ ელჩ ურუსოვთან იყვნენ ვალდეკ-რუსსო, გენერალი გალიფე და სხვა მინისტრები.

**ბახუმი.** გერნეში კიდევ მოვიდა ორი ბატალიონი ქვეითა ჯარისა და ცხენოსანთა ესკადრონი. გუშინ მოვიდა მე-39 მსროლელთა რაზიმი. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. დღეს მიუნსტერიდგან მოვიდნენ 2 ბატალიონი და უფროსი გენერალი.

18 ივნისი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ღამე კარგად გაატარა. დილის ტემპერატურა—36,6 საღამოსი—37,0. პულსი წუთში 72—76—ჯერ უცემდა. უმაღლესად ახლად შობილი სრულებით კმასაყოფელ მდგომარეობაშია.

**ვარშავა.** პოზნანიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ პრუსიის პოლონელთა უმთავრესმა გაზეთმა—„დნევ. პოზნანსკიმ“ ხელის მოწერა გამართა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთო.

**სოფია.** საეროვნო კრებამ, 76 ხმის უმეტესობით 49 წინაალმდეგ, შეიწყნარა საფინანსო ხელშეკრულობანი.

**პეკინი.** რადგან არ მოხერხდა მისონერის ფლემინჩის მთავარ მკვლელების დაჭერა, ბრიტანიის რწმუნებულმა ითხოვა, კუეისტჩაუს გუბერნატორი სამსახურიდგან დაეთხოვათ. ეს მოთხოვნილება ორჯელ უარ ყოფილ იქმნა ცუნგლი-იამენის მიერ.

**ბრიუსელი.** პალატა. გუშინდელ შემთხვევების შესახებ შეკითხვის გამო სოციალისტებმა ისეთი უწესოება მოახდინეს, რომ პრეზიდენტი იძულებული გახდა კრება შეეჩერებია. მაშინ სოციალისტი დეპუტატები გასასვლელ კარებისაკენ გაეშურნენ, სადაც ხალხის გროვამ ავაცია გაუმართა მათ. პოლიციამ და ჟანდარმებმა ხალხის გაფანტვა მოინდომეს, რომელიც ჰყვიროდა; აქა-იქ სტვენა გაისმოდა. ჟანდარმებსა და ბრბოს შორის შეტაკება მოხდა. ჟანდარმები ის-ის იყო ამოღებულ ხმლებით უნდა გადარეოდნენ ბრბოს, მაგრამ აფიცრებმა აღარ გაუშვეს. კრების განახლების შემდეგ, სოციალისტები სჩიოდნენ ქუჩაში მომხდარ სცენების შესახებ. კრების შეწყვეტის დროს სოციალისტი კოვრო მაღლა აწეულის მუშტით კიდევაც ეტაკა მინისტრ-პრეზიდენტს და შეჰყვირა: „შე არამზადავო!“ საშინელი ხმაურობა ასტყდა. კრება დაიხურა სოციალისტების სიმღერასა და სტვენაში.

---

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)
(შემდეგი*)

ალფავიტის რიგზედ ვარდის სახელები, რომლებიც გამოსადეგნა არიან ადრეულა გამრავლებისათვის
(для ранней выгонки).

| № | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენებისა. | თვე ყვავილისა. |
|---|---|---|---|
| 128 | ტ. ლედი გარენდერ . | 1881 | აპრ |
| 129 | რ. ლე როა . . . | 1859 | „ |
| 130 | რ. ლე რონ . . . | 1850 | „ |
| 131 | ტ. ლ'ანფან ტრუვე . | 1861 | მარ. |
| 132 | რ. ლეო გეინუმან . | 1863 | „ |
| 133 | ტ. ლენტინა ლაპორ. | 1860 | „ |
| 134 | რ ლეოპოლდ I როა ლე ბელჟ . . . | 1858 | „ |
| 135 | რ. ლუი დორე . . | 1851 | „ |
| 136 | ტ. ლუიზა დე სავო. | 1880 | „ |
| 137 | რ. ლუიზა ლაბიკ. . | 1859 | „ |
| 138 | რ. ლუიზა ლარზანს | 1846 | „ |
| 139 | ბ. ლუიზა მარგოტინ | 1856 | „ |
| 140 | რ. ლუიზა პერონი . | 1863 | „ |
| 141 | ტ. ლუი ჟიგე . . | 1851 | „ |
| 142 | ტ. ლუი რიჩარდ. . | 1878 | „ |
| 143 | ბ. ლუიზა ოდიე . . | 1878 | „ |
| 144 | რ. ლორდ ფრედერიკ კავენდიშ . . . . | — | „ |
| 145 | ტ. მადამ ალექსანდ ბერნე . . . . | 1877 | „ |
| 146 | რ. მადამ ალფრედ დე რუჟემენ . . . | 1862 | „ |
| 147 | ტ. მადამ აზელი იმბერ . . . . . | 1864 | „ |
| 148 | რ. მადამ ბარონესსა დე როტშილდ . | 1868 | მარ. |
| 149 | ტ. მადამ ბარილლო დეშამ . . . . . | 1866 | „ |
| 150 | ბ. მადამ დე სტელლა. | 1864 | „ |
| 151 | ტ. „ ბრავი . . | 1863 | იან. |
| 152 | ტ. „ ბერარ . . | 1876 | მარ. |
| 153 | ტ. „ კამილ . . | 1872 | „ |
| 154 | რ. „ კამბასერ . | 1852 | „ |
| 155 | ტ. „ სესილი იმბერ | 1871 | „ |

არჩილ დარეჯანაშვილი
(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 846.


# განცხადებანი

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ყაზბეგისა 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—30)

1896 წ.

# ამხანაგობა

შოკოლადის, კამფეტის და ჩაის ნაზუქების ორთქლის ქარხნისა

# ეინემი მოსკოვში

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა!

ამ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა გასასყიდად

# ყავა

იმგვარივე კოლოფში და ისეთივე წარწერით, რომელიც რამდენი ხანია შეადგენდა ყავის გარეგნულ ნიშანს ჩვენი ფირმის ყავისას, რომელიც დიდად გავრცელებულია ყოველგან

## ამ მოტყუების ასაცილებლად

უნდა მიაქციოთ ყურადღება ჩვენი ყავის ყიდვის დროს, რომ წარწერაზე გამოსახულ იყოს

1) სახელმწიფო დერბი წარწერით:
2) «Этикетъ заявленъ департаменту торговли и мануфактуръ».
3) »Товарищество паровой фабрики ЭЙНЕМЪ».

ზემოდ აღნიშნული გარეგნული წარწერები მოწმობენ, რომ ყავა ნამდვილია და ჩვენის ფირმისა

ერთად-ერთი წარმომადგენელი ეინემის, პოლიკ და ამხ. ტფილისში. (3—1)

| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й. |
|---|---|---|

десять рублей.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.
на ежедневную
ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНОУЮ ГАЗЕТУ

# „НАРОДЪ“

(третій годъ изданія)

Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа.

Въ газетѣ между прочимъ сводится много мѣста вопросамъ желѣзнодорожнаго дѣла въ Россіи, вопросамъ Церковнымъ, вопросамъ военнымъ и вопросамъ, касающимся жизни провинціи.

Сообщеніямъ изъ провинціи широко раскрыты страницы газеты, такъ какъ она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинція въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщеніе, идущее отъ мѣстныхъ лицъ, касающееся жизни городовъ, земствъ, вопросовъ сельско-хозяйственныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается газетою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Для болѣе яркаго освѣщенія провинціальной жизни въ газетѣ существуетъ особый отдѣлъ подъ заглавіемъ „Провинціальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣнія, полученныя отъ корреспондентовъ и почерпнутыя изъ провинціальныхъ газетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинціальной жизнью и спеціально для Етой работы приглашенными.

ПОДПИСНАЯ ПЛАТА.

| | На 1 годъ. | На 6 мѣс. | На 3 мѣс. | На 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россіи**, повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к | 2 р. 50 к. | 1 р.—к. |
| **За Границею**, въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 » |

**подписка принимается:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.

МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Александровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А. Ф. Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращаться въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.** (8—8)

десять рублей.

| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й. |
|---|---|---|


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ა. ზუნია